

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2018 წლის „ დეკემბერი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეთანხმებულ იქნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 37 ერთეულისა, გარდა მუნიციპალური ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირებისა, რომელთა ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ოდენობით.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე